რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი 17 მარტი 1917 წ.

ეროვნული

„თანამედროვე აზრის“ გაგრძელება.

№ 3 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 3

გაზეთი ღირს: მთელი წელი—15 მ., ნახევარი წელი—8 მან., 3 თვით 4 მან. 20 კ., 1 თვეში—1 მ. 40 კ. (ყველა ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადებანი: ფასი: პირველ გვერდზე ტეტის სტრიქონი—30 კ. 3. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამკლიერი განცხადება ორ სათამდე 5 მანეთი ხოლო ორის ზემდეგ—6 მანეთი. ხელმოწერილ წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ ნაგზავნთ მასალა რედაქცია არ ინახავს. ავტორებს უფან ვერ ოფიციალურებს და ამის შესახებ არც მიწერ—მოწერას ასრულებს

ბელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Бохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10 12 ს.-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, ფოლიკეფის ქუ. № 12. (Тифлисъ Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

დიდი რევოლიუცია.

სადღეისო ლოზუნგები

მსარი დაუჭირეთ დროებით მთავრობას რეაქციასთან ბრძოლაში!

გამოიტანეთ დროებითი მთავრობის თანაგრძნობის რეზოლიუციები სასალხო კრებებზე და საზოგადო დაწესებულებებში და ეს დეპეშით აცნობეთ მას პეტროგრადში!

მიესალმეთ პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭოს, რომელიც უმთავრესი ბურჯია რევოლიუციის და საუკეთესო დარაჯი დემოკრატიის ინტერესების. მიესალმეთ აგრეთვე ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოსაც.

აცნობეთ მთავრობას, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ:

1. გამოიცვალოს ძველი რეჟიმის მთელი ადმინისტრაცია დაის გაგზავნილ იქმნას ფრონტზე.
2. განხორციელდეს სრული თავისუფლება კრებების, სიტყვის, კავშირების და ორგანიზაციების.
3. დამყარდეს ეროვნებათა თანასწორობა.
4. დემოკრატიული რესპუბლიკის დასამყარებლათ და ომის და ზავის საკითხის გადასაწყვეტათ მოწვეულ იქნას დამფუძნებელი კრება, არჩეული საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარულ კენჭის ერით, განურჩევლათ სქესისა.

დაიცავით ყოველგან ქალაქებში და სოფლებში სრული წესიერება, შეებრძოლეთ ყოველგვარ ძალადობას და კერძო საკუთრების მითვისებას.

მხოლოდ საერთო ძალღონით და მწყობრი მოქმედებით უველა ოპოზიციურ და დემოკრატიულ კლასებისა განმტკიცდება დაწყებული დიადი რევოლიუცია.

საჭიროა ქალაქებში დაარსდეს მუშათა დეპუტატების საბჭო და მოქალაქეთა აღმასრულებელი კომიტეტები, რომელნიც მიზნათ დაისახვენ რეაქციის საბოლოო დატუქსვას და წესიერების დაცვას.

სოფლათ უნდა მოეწყოს გლეხთა სასოფლო, საძაზრო და საგუბერნიო დეპუტატთა საბჭოები, აგრეთვე აღმასრულებელი კომიტეტები.

მუშათა დეპუტატების

საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ბიურო

მოთავსებულია თვილისის ქალაქის საბჭოს დარგაზში მესამე სართულში. ბიურო ღია დილის 10—3 საათამდე, საღამოს 5—9 საათამდე.

თავისუფლება და მეფიდოგიანობა.

პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო იმპერიალისტთა წინააღმდეგ ამხედრდა. ის მიმართავს საერთაშორისო დემოკრატიას და მას მოუწოდებს სასტიკათ დგომის ანექსიონისტთა პოლიტიკა, რომელნიც ახალი ქვეყნების ძალით შემოერთებას ელტვიან. ასეთივე წინააღმდეგი ის მიმართავს ავსტრია-გერმანიის მუშათა კლასს, რომელიც ევალება შიგნით რევოლიუციის აღდგმა, პრუსიის იუნკერთა და ვილჰელმების ბატონობის დასახობა და მშვიდობიანობის აღდგენა. ომი იმპერიალისტთა საქმეა. ავსტრია-გერმანიაში დემოკრატიული წყობილების დამყარებისთანავე საბჭოთა ბავშვ მეცადინეობა ეყრება.

ხანგრძლივი ომი რუსეთის თავისუფლებას დიდ საფრთხეს უმზადებს. მეფის ტახტი ძარბუდიანათ შერყეა ხალხს ნივთიერი კეთილდღეობა, სავსებით არივ-დარია ეკონომიური ცხოვრება. ევროპის მარჩენალ რუსეთის თვალწინ შიმშილის შავი აჩრდილი დაუდგა. ამ პირობებში ომი ბოლომდის კონტრ-რევოლიუციის ამოძრავებას ნიადაგს უმზადებს. ხალხი აღფრთოვანებით ეგებება თავისუფლებას იმ იმედით, რომ ის ომის ველიდან უკანვე დაუბრუნებს წართმეულ შვილებს და ნორმალურ ცხოვრებას აღადგენს. მხოლოდ ამ გზით შეიძლება სასუსანთო კრიზისის თავიდან აცდენა, რომელშაც დასცა ძველი რეჟიმი და რომელიც საფრთხეს რესპუბლიკასაც უმზადებს.

მარა მშვიდობიანობის აღდგენა უპირველესათ გერმანიის დემოკრატიის საქმეა. რუსეთის თავისუფლებას აბჯანათ სწორეთ გერმანია ეშეკრება. ეკვს. გარეშეა რომანოვიანის დაცემული დინასტია, რომელიც ისე მეფიდროთ დაკავშირებული იყო ვილჰელმის ტახტთან, აწყობს შეთქმულობას რუსეთის დიდი რევოლიუციის წინააღმდეგ, რომ გარეშე ძალით თავისუფლება დაიმსოს და კვლავ ტახტს დაუპატრონოს. ეს იქნება მთელი ევროპის დემოკრატიის დაფეხლურება და საყოველთაო რეაქციის გაძლიერება. აბჯანათ რუსეთი ევროპას ბაირაღტრათ გამოდის!

განა შეუძლია გერმანიის დემოკრატიას ამ გარემოებას გულგრილათ უცქიროს და პრუსიის იუნკრებს საშვალება მისცეს ზურგიდან რუსეთის რევოლიუციას ეკვეთონ და ძველი რეჟიმი აღადგინონ? ეს იქნებოდა ინტერნაციონალის უდიდესი ღალატი. გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ვალია აბჯანათ ხმალი წინაურ რეაქციონერთა წინააღმდეგ მიმართოს და მით საპატიო ბავშვ ჩამოგდებას გზა გაუკაფოს.

ამ საფრთხეს უფრაოდ ეორ ეს რუსეთის მუშათა კლასი დასტოვებს. გერმანიის ომში გამარჯვება არსებული პირობებში დიდი რევოლიუციის დასამარება იქნება. ამიტომაც სამართლიანათ ამბობს პეტრ გრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მოწოდება: „რუსეთის რევოლიუცია უკან არ დაიხევს დამყარობილთა ბიზუტების წინაშე და ნებას არ მისცემს, რომ ის გარეშე სამხედრო ძალით გასრესონ“.

ჩვენ ველით გერმანელ და ავსტრიელ ამხანაგთა მედგარ ხმას. აი თავდები მსოფლიო კატასტროფის დაბოლოვების. როცა რევოლიუციის ნაპერწკალი ამ ბასოლიუტურ ქვეყნებშიც გადავიდეს, ზავის საათიც დაჩქარდეს. დემოკრატიას არ სურს არავითარი დაპყრობა. ის წინააღმდეგია ანექსიისა. ყოველ ერს უფლება უნდა მიეცეს რეფერენდუმით თავისი ბედი გადაწყვეს.

დემოკრატია არ მოითხოვს დამარცხებულ სახელმწიფოს-ან სამხედრო ხარჯების ანაზღაურებას. კონტრიბუცია დამარცხებულ ქვეყნებს განადგურებას და მიწასთან გასწორებას უქადის.

იმპერიალისტები კვლავ ძველი გზით მიდიან და ხმლით სადაო კითხვების გადაჭრას ლამობენ. არავითარი ანექსია და კონტრიბუცია—აი საფუძველი სამტიო ზავისა. მხოლოდ ამ გზით შეიძლება მშვიდობიანობის აღდგენა და იმპერიალისტთა ალაგმვა. ამას მოითხოვს რუსეთის დიდი რევოლიუციის ინტერესები. მსერიალისტური პოლიტიკა კონტრ რევოლიუციის ამოძრავებას გვიქადის.

რესპუბლიკა და მონარქია.

რუსეთის ბურჟუაზიული წრეები დ. თვით მემამულეებიც კი რომანოვების დინასტიას სამარცხვინო ბოიზე აკიავენ. დიდი რევოლიუციის ქარტეხილმა მათი აზროვნება შეარყია, იმ კლასებისაც კი, რომლებიც დღემდის ტახტის ერთგულ დამცველებათ ითვლებოდნენ და მეფეს ღვთის მიერ კურთხეულ პიროვნებათ აღიარებდენ. მუშათა კლასთან და რევოლიუციონერ არმიასთან ერთად გაბატონებულმა კლასებმა მონარქიას ზურგი შეაქციეს და ამ ხანათ რესპუბლიკანურ მართვა-გამგეობას ესარჩლებიან.

აუკარა, ბურჟუაზია დარწმუნდა, რომ მტარვალურმა მართვა-გამგეობამ რუსეთში ნიადაგი სრულიად დაკარგა და მისი უკან დაბრუნება არავის ძალუძს.

მეფის ტახტი კარგა ხანია შერყა, მის წინააღმდეგ სასიკვდილო განაჩენი ისტორიამ კარგა ხანია გამოიტანა. მოიგონეთ დეკაბრისტთა აჯანყება 1825 წ., რომელთა ნაწილი იმ ხანათ რესპუბლიკის დაარსებას ითხოვდა. 1905 წელმა მონარქიას წინანდელი ძალაგამლენა წაართვა. ამ წლის დიდმა რევოლიუციამ ტახტი უფეველია, საბოლოოთ დასცა. მისი ბედი საბოლოოთ გადაწყდა.

თეორიულ მოსაზრებით მონარქიის უარყოფა არავითარ ეჭვს არ იწვევს, ვინაიდან სახელმწიფოს მართვა-გამგეობის მღალ ფორმას რესპუბლიკა შეადგენს. დესპოტიზმი და მონარქიზმი წარმავალი ფორმაა და ადრე თუ გვიან მის ადგილს დემოკრატიული რესპუბლიკა იჭერს. რესპუბლიკა მართვა-გამგეობის მღალი ფორმაა, ვინაიდან აქ ხალხი და მისი წარმომადგენელი თითონ განაგებენ სახელმწიფო საქმეებს, აქ ყველა მცხოვრენი თავიანთ სფეროდ მოქალაქეთ ითვლებიან და თითოეული კლასი თავის კლასიურ ინტერესებს თავისუფლათ იცავს და ეჭიმაგება. მონარქია განსაზღვრულ ისტორიულ პირობებში დაწესდა. ფეოდალურ წყობილების ხანაში, როცა თვითეული ბატონი—თავის პატარა სამფლობელოში აბსოლიუტურათ ბატონობდა, მონარქიის დაწესება პროგრესიულ მოვლენათ ითვლებოდა, ეროვნ ძლაგმა თავადთა თავადსულობა და საერთო წესრიგს დაეზარ ჩალა. შემდეგ ბატ ნყობიაც მოსპო და მით თავადების უფლებაც საკრძალობლათ შეიზღუდა.

მის ნაცვალათ ახალი ბატონყმობა დამკვიდრდა. მთელი ხალხი აბსოლიუტური მთავრობის ყურმოჭრილი მონებათ გამოაცხადეს და ის მრავალ საუკუნეთა განმავლობაში დესპოტიზმის ულიღმეგზ გმინავდა. ფართო მასას ყოველგვარი პოლიტიკური უფლებები წაართვეს, ეკონომიური კეთილდღეობა დასცეს და გადაგვარების გზაზე დააყენეს. ასეთ საზოგადოებრივ პირობებში რუსეთის ხალხი მთელი სამასი წლის განმავლობაში იმყოფებოდა, მაგრამ ეკონომიური ცხოვრების განვითარებამ წარმიშვა ახალი საზოგადოებრივი კლასი, პროლეტარიატი, რომელიც მას ადარ ურიგდებოდა და მის წინააღმდეგ მიდგარი და ომ ვგაწყრული ბრძოლა დაიწყო. 1905 წელს მეფე იძულებული შეიქნა 17 ოქტომბრის მანიფესტი გამოეცა და კონსტიტუციას შეპირდებოდა. როცა ხალხს წარმომადგენლები შეიკრიბენ და პირველ დუმის სხდომებზე კონსტიტუციის განხორციელება მოითხოვეს, მთავრობამ კვლავ თოფსა და იარაღს მიმართა და ხალხს წარმომადგენლები გარეკა. ეს ცოტაა. მეორე დუმის დეპუტატები, ხალხის საუკეთესო შვილები, ციხე-კატორღებში გაისტუმნა და მრავალი მათგანი სიცოცხლეს გამოასალმა. ერთი სიტყვით მან ყველაფერი უკან წაიღო და ხალხი კვლავ მარბარობასულ მართველობას დაუმორჩილა. შემდეგ მსოფლიო ომი გაჩაღდა და ამ გზით ცდილობდა თავისი შერყეული ტახტის გამაგრებას, მაგრამ ეკონომიურმა კრიზისმა, ომის მსვლელობამ საქვეყნოთ გამოაშკარავა არსებული წყობილების სიდუხჭირე და მუშათა კლასსა, რევოლიციონერმა ჯარმა და უკმაყოფილო ბურჟუაზიამ მეფის ტახტი დასცეს. ამით გზა გაეხსნა რესპუბლიკანურ მართვა-გამგეობას. ამიერიდან ხალხი დემოკრატიულ რეჟიმის ერთგული დარაჯი და მონარქიზმის აღდგენა არავის ძალუძს.

დამფუძნებელი კრება.

რუსეთის სოციალ დემოკრატები ყოველთვის ითხოვდნენ დამფუძნებელ კრებას. ეხლა ეს მოთხოვნილება დროებითი მთავრობის ოფიციალური პროგრამის ნაწილი გახდა. ეს ისა ნიშნავს, რომ მან აღი რა, უმაღლესი მართვა-გამგეობა თავისუფალ ხალხისა ეკუთვნის თვით ხალხსო, მხოლოდ თვით ხალხს შეუძლია გადაწყვიტოს, როგორი მართვა-გამგეობის ფორმა, სახელმწიფოს როგორი წესწყობილება და როგორი ძირითადი კანონები ესაჭიროება მას. ხალხმა დაამხო ძველი მთავრობა, განდეგნა რომანოვების გვარეულობა, რომელიც ხალხს მოთმინების გამო მეფობდა—და ეხლა იმავე ხალხმა უნდა **დამფუძნოს** ახალი წესები. ამისათვის თავისუფალთ არჩეული წარმომადგენლები მოწვეულნი იქნებიან **დამფუძნებელ კრებაზე**, რომელსაც მთელი ძალა უფლება ექნება ხელში. დამფუძნებელი კრება აწესებს მოქალაქეთა მოვალეობას და უფლებას, იმუშავებს **კონსტიტუციას**, ესე იგი ქვეყნის მართვა გამგეობის ძირითად კანონებს. ამ გვარ დამფუძნებელ კრებებს იწვევდნენ საფრანგეთში დიდი რევოლიუციის დროს და შემდეგ 1848 წ. სადაც ტახტიდან ჩამოგდებულ და გაქცეულ მეფის მაგიერთ დროებითი მთავრობამ დაიწყო მოქმედება.

ჩვენმა დამფუძნებელმა კრებამ გარდა კონსტიტუციისა უნდა ეამიმუშავოს მაწყობ მფლობელობის ახალი კანონები და აგრეთვე კანონი, რომელიც განამტკიცებს ძველ კავშირს რუსეთის მრავალ ერებთა შორის.

აქედან სნანს, რა დიდი და პასუხის-მგებელი კითხვები იქნება გადასაჭრელათ დამფუძნებელ კრებას. ამ კრების გადაწყვეტილებაზე იქნება დამყარებული მრავალ წლის განმავლობაში ჩვენი სახელმწიფოს ბედ იღბალი, ამიტომ ყველა ამ კითხვების შესახებ ჩვენ ეხლავე უნდა გამოვაქვათ ჩვენი აზრი და დაუფარებლივ გაურკვიოთ ის სხვა ამხანაგებს და ყველა მოქალაქეთ.

დამფუძნებელ კრების არჩევნები მოხდება საყოველთაო თანასწორ, პირდაპირ და ფარული კენჭის ყრით. **იქნება ის საყოველთაო** იმიტომ, რომ ხმის უფლება უნდა ქონდეს **ყველა** სრულწლოვანთ განურჩევლად წოდებისა, ეროვნებისა, სარწმუნოებისა და **სქესისა. თანასწორი**—იმიტომ, რომ ყველა მოქალაქეს ექნება ხმოლოდ ერთი ხმა—ხმა მილიონერისა, ლატკისა, მინისტრისა და მწყემსისა ერთნაირი მნიშვნელობის იქნება. **პირდაპირი**—რადგან ყველა მოქალაქენი ირჩევენ არა ამომრჩევლებს, არამედ პირდაპირ თავის წარმომადგენლებს.

დაბოლოს ხმის მიცემა უნდა მოხდეს **ფარულად**—ესე იგი ხმის მომცემ მოქალაქის სახელი და გვარი არავის ეცოდინება და ამიტომ არავის შეეშინება თავის კან-

დიდატ მიცეს ხმა. ამგვარად ყველა ჩვენგანს საშუალება ეძლევა გაგვეწია ექონიოს დამფუძნებელ კრების არჩევნებზე. რუსეთის მომავალი ბედ-იღბალი დამოკიდებული იქნება ჩვენზე და ჩვენგე შეგვიძლია გავგლნა ვ-ქონიეთ მის მომავალზე ეს უნდა გავსცდეს ყოველ წამს და ამიტომ უნდა ვიცადოთ ჩვენი შეხედულება გავიტანოთ ერგვეგოდ. საჭიროა ენერგიული მუშაობა. ვინც არ უნდა ისტორიის ბორბალი უკუღმა გადატარიალოს—ის ეხლოვე უნდა შეუდგეს თავის შეხედულების პროპაგანდას. დამფუძნებელი კრება ღირსი უნდა იყოს თავის უფალი ხალხისა.

მილიცია.

დროებითი რევოლიუციონური მთავრობის განკარგულებით ყველა ქალაქებში ძველი ადმინისტრაცია გაუქმებულ იქნა და ნაცვლად პოლიციისა წესიერების დაცვა მილიციას დაეკისრა.

დღეს არ მოიპოვება არცერთი სამაზრო ქალაქი, არც ერთი პატარა დაბა, სადაც სახალხო მილიციას არ აწყობდენ. მარა რა არის მილიცია? ზოგიერთები წესიერებას დამცველ მილიციას სახალხო მილიციის დანიშნულებას აძლევენ და მით ახალ ადმინისტრაციას სახალხო შეიარაღების სახელით ნათლავენ.

მაგრამ არსებულ მილიციას საერთო შეიარაღებასთან ანუ სახალხო მილიციასთან საერთო არაფერი აქვს და იგი ამ ქამათ არც საჭიროა, ვინაიდან თვით ის რევოლიუციონური ჯარი, რომელიც მებრძოლ პროლეტარიატს გვერდში ამოუდგა და ამასთან ერთათ მონარქიზმის ძლევა-მოსილი ტაბტი დაამსხვრია, სახალხო მილიციის როლს პირდაპირ ასრულებს. ახალი ჯარი დროებით იმავე მიზნებს ემსახურება, რაც უნდა იყოს საყოველთაოთ შეიარაღებულ ხალხს ანუ სახალხო მილიციას, როგორც ამას ინტერნაციონალური კონგრესები ითხოვდა.

ყოველი სრულწლოვანი მოქალაქის შეიარაღება—აი საფუძველი სახალხო მილიციისა, რომელიც ხალხს გარეშე და შინაურ მტერთაგან დაიცავდა, ასეთი მილიცია თავისუფლების საუკეთესო ბურჯი იქნებოდა.

ღღეს ამ დანიშნულებს რევოლიუციონური არმია თავიანთ სისწორით ემსახურება. იგი გარეშე მტერთან რუსეთს იცავს და შინაურ ბნელ ძალებსაც გასაჭანს არ აძლევს. მისი სამოდელოთ სახალხო მილიციათ გადაქცევა დემოკრატიულ რესპუბლიკის საქმეა.

ამ ქამათ ახალი რევოლიუციონერი მთავრობის მიერ შემოღებული მილიციათ მხოლოდ ქალაქებში და სოფლებში წესიერების დამცველებს ემსახურება. იგი გარდა წესიერების დაცვისა ერთგული მოსახრე უნდა იყოს დროებითი მთავრობის და ბნელი ძალების სასტიკი მტერი, რომ მან პირნათლათ შეასრულოს თავისი ქნიდი მოგალეობა. დასახლებულ ორგანიზაციაში ღირსეული და ახალი ყოფა-ბილების მოსახრე პირები უნდა შედიოდენ, ასეთ სანდო პირების გამოძებნა თვით პოლიტიკურათ თავისუფალ ხალხსვე შეუძლია. ყოველი უბანი თავის რაიონის მილიციის შემადგენლობას თითონვე უნდა ირჩევდეს. წესრიგის დამცველ მილიციას ხალხი უნდა ადგენდეს და მილიციონერებიც ამრჩევლების წინაშე პასუხისმგებელი უნდა იყვენ. ახალი ადმინისტრაციის ასეთი წესით შედგენა, მათი დემოკრატიულ საარჩევნო ნიადაგზე დამყარება ის უებარი საშუალებაა, რომელიც რევოლიციონერთ საბოლოოთ ალაგმავს და განთავისუფლებული ხალხის ინტერესებს ერთგულათ დაიცავს.

დეპეშები.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების ხაზების მოწოდება.

პეტროგრადი. 14 მარტი. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ მიმართა მთელი ქვეყნის ხალხს და საერთაშორისო პროლეტარიატს. ის მოუწოდებს შეებრძოლოს ყველა სახელმწიფოების დაპყრობითი მისწრაფებებს და ხელი აიღოს ზავის და ომის საკითხის გადაწყვეტა. რუსეთის დემოკრატია—ნათქვამია მოწოდებაში—აცხადებს, რომ ყოველ ზომებს მიიღებს გაბატონებული კლასების დაპყრობითი პოლიტიკის წინააღმდეგ სამართლიანად და ასეთივე ბრძოლისაკენ მოუწოდებს ევროპის დემოკრატიასაც რომ ორივე ერთათ გამოვიდეს ზავის დაფუძნებლივ ჩამოსაგდებათ. რუსეთის რევოლიუციამ არავის მასლეს ნებას, რომ ის ჩაბაშოს გარეშე სამხედრო ძალამ. მუშათა დეპ. საბჭო მოუწოდებს აფსტრია გერმანიის პროლეტარიატს, რომ მოიკლოს მან თავიდან თვითმპყრობელობის მძიმე უღელი, ისე, როგორც რუსეთის პროლეტარიატმა და შესწყვიტოს კაცობრობის შემრცხვენელი სანშინელი ომი. საბჭო მიმართავს აგრეთვე პოლონეთის პროლეტარიატს და აცხადებს, რომ პოლონეთის სიული უფლება აქვს დამოუკიდებელი გახდეს. საბჭო ამერ სალმს უძღვნის ხალხ და უკურებს დამოკიდებელ პოლონეთში დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებას.

მადლობის დეპეშები

მინისტრთა საბჭოს თავჯდომარეს ფინლიანდიიდან ბევრი დეპეშები მოდას, სადაც მადლობას სწერენ ფინლიანდიისთვის უფლებების დაბრუნების გამო.

სახალხო განათლების სამინისტროს განკარგულება.

სახალხო განათლების სამინისტრომ ყველა უნივერსიტეტებს დეპეშით აცნობა, რომ ყველა მთავრობის მიერ დანიშნული პროფესორებმა სამი დღის განმავლობაში დასტოვონ თავიანთი ადგილები.

პეტროგრადი. 14 მარტ. ეროვნული თეატრის ცენტრის ხელში გაიგლის შემდეგი ცნობები: 1) ჯარის მოწყობა, მისი შემადგენლობა და მისი რაოდენობა, როგორც არმისა, ისე ფლოტის; 2) არმიისა და ფლოტის ჯარების ხელმძღვანელთა პირადი შემადგენლობა; 3) ჯარის შეიარაღება, მისი რაკმა-გამოკვების და ტეხნიკური მოწყობის ცნობები; 4) ცეხების, სამაგრეების, სამხედრო ნივთსადგურების გამაგრების შესახებ; 5) ბრძოლის ფრონტზე ჯარის გადაჯუფება-გადმოჯგუფება; 6) სამხედრო-ამრეწველო ქარხნებში, სამაგრეებზე და ნავსადგურებზე მუშაობის შესახებ; 7) ზღვაზე სავაჭრო გემების, როგორც რუსეთის, ისე მოკავშირეების, რომელნიც კი რუსეთისათვის სამხედრო მასალას თუ სანოვაგეს მოეზიდებიან. ერთი სიტყვაო, ყველა ის, რაც სამხედრო საქმეებს და ფრონტს შეეხება, აუცილებლათ ყველა ასეთმა ცნობამ წინასწარ სამხედრო ცენზურის ხელში უნდა გაიაროს და ისე დაიბეჭდოს.

ნალმოსნების ჩაძირვა.

ინგლისის საზღვაო მინისტრის ცნობით ლამაზში ბრიტანის კონტრ-ნალმოსანი ნაღმს დაეჯახა და ჩაიძირა; გადაარჩინეს ოთხი ოფიცერი და 17 მატროსი. მეორე კონტრ-ნალმოსანი გემს წაადყოდა და ისიც ჩაიძირა.

გერმანია ზავის მოსმენას გამოდის.

„ბერლინერ ტაგებლატ“ სწერს: გერმანიის დიპლომატია უნდა დაფიქრდეს, მან რუსეთის რევოლიუციონური მდგომარეობით ისარგებლოს და მთელ ევროპაში საერთო ზავი ჩამოაგდოს. ეგზეს გარეშეა—სწერს გაზეთი—დგება ახალი ხანა, რიცა იმპერიალიტურ პოლიტიკას გასაგალი ალარ აქვს, სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა ამიერიდან ძრიელი სახელმწიფოებრივი მრავალფერის პრინციპით ალ-ი უნდა ანდოდენ.

პეტროგრადი. სახ. დუმის წევრებს ეფრეზა და ბოლოკოვს ოფიცრებ და ტაბტიკურებმა ბოლოდ ბეჭვაფრებმა გადასცეს, რომ ისინი თანაგრძნობას უცხადებენ სახ. დუმას და დროებით მთავრობას.

ქალები სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ.

კიევი. ქალების მიტინგზე დაადგინეს სიკვდილით დასჯის გაუქმება.

ავეთეები.

ლონდონი. ოფიციალურად იუწყებიან: დილს, 14 მარტს, ჩიდლეფეი ინგლისში ავეთეებმა ბოხდა ყუმბარების საკეთებელ ქარხანაში. მოკლეულია 1, დაჭრილია 9. ავეთეებმა გამოწვეულია შემოხვევით.

ნოვოროსიისკსა. 14 მარტ. დონის ოლქის, სტანიცების ასზე მეტმა საზოგადოებებმა გადადგეს 16 მილითნა მანეთი რკინის გზების გასაკეთებლად. ესენი თხოულობენ ეფლეტა მისცეს მათ გაიყვანონ რკინის გზა სარატოვ ვრაჩი პოოსლდონაია. სხვა საზოგადოებები ფუმობენ მაწყა და საშენელად მასალას მისცემენ.

ტაშკენტი. ბეურნეთა საზოგადოება მილიუკოვს დეპეშით მიესალმა და თან ეკითხება: ეხლა თუ არა თავისუფლების პრინციპები ბეხაზის და ხივის დასჯილ მცხოვრებთო.

სამხ. სამოწყვლელო კომიტეტის მუშათა ჯგუფის წევრი აბრესიმოვი.

პეტროგრადი. 15 მარტი. დაპატიმრებული მუშათა ჯგუფის წევრის აბრესიმოვის შესახებ სამხედრო მინისტრმა გაზეთების თანამშრომელთ აცნობა, რომ აბრესიმოვის პროვოკატორული როლი კარგა ხანია გამოირკვაო. ლეანტნაკვი ისა, რომ მუშათა ჯგუფს დაპატიმრებია შემდეგ აბრესიმოვი დარჩა თავისუფლათ და კომიტეტის კრებაზე პროვოკატორულ გამოსვლებს გაბაგრობდა და სხდომაზე მოხდარ ამბე ს პოლიციის დეპარტამენტს აცყობინებდა და ამით ჯაშუშობას ჩადიოდა.

ჯარისკაცთა თვითმმართველობაში.

პეტროგრადი. 14 მარტი. გენერალ პოლივანოვის კომისიამ შესაძლებლათ სცნო შემოიღოს ჯარისკაცთა თვითმმართველობა.

ურუსოვის დანიშვნა.

პეტროგრადი. 14 მარტი. თავ. ურუსოვი შინაგან საქმეთა მინისტრის ამბანაგათ ინიშნება—ინტერნეტის სამინისტრო მეორე დეპარტამენტის დირექტორი ივანოვი იუსტიციის სამინისტროს საკონსულტაციო დაწესებულების წევრათ ინიშნება. ნაფიცი ვეფერი მთავარეი თავჯდომარეთ ინიშნება, ხოლო ივანოვი და ზავიდსკი უმაღლესი გამომძიებელი კომისიის თავჯდომარეთ ამხანაგებათ. ამ კომისიას დაკვლევა აქვს ყოფილი მინისტრების მოქმედების გამოძიება.

ემიგრანტების დაბრუნება რუსეთში.

ბაკანი. 13 მარტი. ჰოლანდიაში მყოფ რუსეთის ემიგრანტთა მეტმა ნაწილმა რუსეთში დაბრუნების სურვილი განაცხადა. ესენი არიან ბერმანიიდან გამოქცეული პოლიტიკური ემიგრანტები, მათ შორის არიან ისეთენი, რომელნიც სახელმწო ბეგარას გაფრთხიდენ.

— რუსეთის პოლიტიკური ემიგრანტები, რომელნიც ამერიკაში იმყოფებიან სალ. ოფ უძღვენინ რუსეთში მომხდარ ცვლილებას და ეჩქარებიან სამშობლოში დაბრუნებას.

ძეგლის ადგილ.

ვლადივასტოკი. 13 მარტი. ველკენშტეინის სახსოვრათ, რომელიც ამტერ მონაწილეობას იღებდა 1905 წლის მოძრაობაში და რომელიც 1906 წელს მოკლეს ვლადივასტოკში, ძეგლის ადგილს ეპირებენ და ფულის შეგროვებას უკვე შეუდგენ.

სტოკჰოლმი. 13 მარტი. „ფორვერტს“-ი სწერს: „თუ ადმისალეულის 140 მილიონანი მტერი არ დამარცხდა სამოლოოთ, ის იმპერნებსო. ნუთუ ამისთანა ნიადაგი უნდა მოუმზადოთ მომავალ თაობას? ეერმანია ომმებს არა მეფის წინააღმდეგ, არამედ წინააღმდეგ რეაქციონურ მებრძოლ კავშირისა. „ფორვერტს“-ი, უწოდებს რა გერმანელ რეაქციონერებს შტიურმერებს და პროტოპოპოვებს, ამბობს: „დაყონება გამოიწვევს სამშუბარო შედეგებს“.

პეტროგრადი. 14 მარტი. სახელმწიფო დუმის სხდომაზე მ. ვ. როძიანკოს თავჯდომარეობითი დადგენილება მოთხოვენ დუმის წევრებს დაბრუნონ უკან ის ფული, რომელიც მიიღეს პოლიციის დეპ ტამენტის ფარულ ფონდიდან ზამანოვსკის, მარკოვ მეორის, დერეფაგინის, კრუპენსკის დაპრიზეკეიჩისაგან. ამ კითხვის შესაფერი ახსნა მოთხოვეს. წინადადება შემოიტანეს დეპუტატებს წინადადება ეძლეგა დასტოვონ თავიანთი თანამდებობა. რომიანოვმ მოახსენა საბჭოს, რომ დროებითი მთავრობასა და ადმისარულებელ კომიტეტს შორის სრული სოლიდარობა. დროებითი მთავრობა დარწმუნებულია, რომ დამფუძნებელ კრების მოწვევამდის მხოლოდ დუმა არის ხალხის გულისტვმის გამომბეჭელ. კრუპენსკის აცხადებს, რომ ის ამ ცნობებს ინსინუაციათ სთვლის, რადგან ახლავე გამარტლება არ შეუძლია, ამიტომ ის ფარს ამბობს თავი თანამდებობაზე.

ადმისარულებელ კომიტეტმა გამოაქვეყნა: რევოლიუციის მსხვერპლთა დასაფლავება მოხდება 17 მარტს მარსის მინდორზე.

დროებითმა კომიტეტმა დაადგინა წინადადება მისცეს დეპუტატებს ფრონტზე ფასვლა; გენერალ ბრუსილოვის ჯარში გასაგზავნთ არჩეულია გრონსკი, დემიდოვი, მასლენიკოვი, ფხიუბინსკი, თ-დი ზ.ბოვაკოო, მოდედეი, ფ. ფუნტუსოვ, ალექსანდროვ, ფედორაკი, ზმიაკოვი; ბაკოვის ოთხობა-ნოვა, ლალინ. ალექსანდროვ, ლიკოვი და მაკაო და რეიფელი—ეფსეფეი.

ადელა. 1,600 ტყვიანი ფეტლის ბასრის ახალი მთავრობასთან აღძრულ ზეშემდგომლობაზე. შესდგა კომიტეტი 10 კაცისაგან, რომელსაც ეევალება თვალყური ადევნოს ტუსალთა ცხოვრებას, სასურსათო საკითხს. მოხდა ცხეში მელელვარება, რაც, როგორც გამოირკვა, გამოიწვია პროვოკაციამ. ციხის კომიტეტს წევრები საპროიეტისგადგენად იგზავნებიან მოსალაპარაკებლად საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

ელისავეტგრადიდან გვაუწყებენ, რომ ციხიდან გაიქცა 500 კაცი, სადამოზე კი 200 მდე გაქცეული ისევ დაბრუნდა უკან. ციხას უფროსი დატუსდებულია.

(ტურ. გაზეთი.).

ბორკილების მაუქმება.

იუსტიციის მინისტრმა ბრძანა, რომ კატორღელებს ბორკილები მოხსნან.

გერმანელების ჯაშუშები.

გარეშე საქმეთა მინისტრმა საზღვარ გარეთიდან მიიღო ცნობა, რომ გერმანელები ბაზეინენ რუსეთში დიდი თანხით აგენტებს, რომლებსაც დავალებული აქვთ ააფეთქონ ხიდები და ქარხნებიო.

ამერიკა და ომი.

პარიზში ცნობები მიფიანთ, რომ ამერიკას გადაწყვეტილი აქვს ომი გამოუცხადოს გერმანიას, ამერიკა კისრულობს მოკავშირეებს 5 მილიარდი დოლარით დაეხმაროს და აგრეთვე რუსეთს მიაწოდოს დიდძალი სამხედრო მასალა, განსაკუთრებით ყუმბარები.

განთავისუფლებულნი სოც.-დემ.

ირკუტკიდან უკვე გამოსულნ 5 სოც.-დემოკატენ, რომლებიც ეხლა განთავისუფლდენ. მათ შორის არის მეორე სახ. დუმის წევრი კაკი წერეთელი. ისინი დიდი ამბით გამოცილეს ადგილობრივმა მეტხოვრებლებმა.

იპოვეს ოქრო.

გაზრბიკეს გრაფინია ანგატენეისა. მის მინაზე აღმოაჩინეს ერთი მილიონი მან. ოქრო. ოქრო ჩამოართვეს.

რახპუტინის წერილები.

გაზრბიკეს ეკმიმ მიდმეეეს ბინა, იპოვეს რახპუტინის მრავალი წერილები. წერილები ამეფლენენენ თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა რახპუტინს ილიოდორთან, დედოფალთან და მეფეს ქალებთან.

კიევის ინსტიტუტის ადმინისტრაცია.

კიევის კომერციული ინსტიტუტის ადმინისტრაცია, როგორც გამოირკვა, ადმინრნეს თანაშეწრომელი ჯაშუშებისა. ინსტიტუტი დირიქტორმა დოენა ზაპოლკი თანამდებობიდან გადადგა.

პლეხანოვის აზრი.

„რუს. სლოვო“-ში მოთავსებულია გ. პლეხანოვის წერილი რუსეთის პროლეტარიატის მიზნებზე. პლეხანოვი აღწერს რუსეთის მუშებს არ გამოიყენონ მთელ რუსეთის ხალხს. მოკალაქეობრივი ომი ხელს შეუშლის რეაქციის გაფლეთვას. განცალკევების მოვეტენი კიდევ არ დამდგარა. ჯერ უნდა გამაგრდეს შინაგან მტრის მიერ მატოვებული პოზიციები; ომი კი უნდა გათავდეს ბრწყინვალე გამარჯვებით, რადგან თუ გერმანიამ გაიმარჯვა, ის დაგვიდგამს ეკონომიურ უღელს და ამით ადადგენს ძველ რეჟიმს. ბრძა იქნება რუსის პროლეტარიატი, თუ ეს საშინელი საფრთხე ვერ დაინახა.

ბერლინი.

ბერლინში გავრცელდა ხმა, რომ კანცლერი გამოვა რეიხსტაგში ახალი წინადადებით ზავზე. რეიხსტაგის სხდომაზე ლიბკნეხტის მიმხრე კენერმა სთქვა, რომ ხალხ შიშილს განიკვლის, ორი მილიონი ჯარის-კაცი დაიღუპა და პრუსიის „მეფეს“ რუსეთის მეფის ბედი მოელისო.

ომის დეპეშები.

პეტროგრადი. 15 მარტი. ილეკტის აღმოსავლეთით, საარტილერიო მომზადების შემდეგ, გერმანელებმა ჩვენს სმაგრეებზე იერიში მოიტანეს, მაგრამ არტილერიის საშველებით გავფანტეთ. ბოგუშეს რაიონშიაც მოიტანეს გერმანელებმა იერიშნი 14 მარტს და დაიკავეს რამოდენიმე ადგილები, მაგრამ კონტრიერიშის საშუალებით ჩვენ დავიბრუნეთ და ნაწილი ადგილები მდგომარეობა ადგადგენეთ. ბოროვენოს რაიონში ჩვენ გაზეების საშუალებით იერიშნი მივიტანეთ მტერზე. ბრზენ-ენის რაიონში ჩვენი მზეერავები შეიჭრენ მტრის სანგრებში და 20 გერმანელი ტყვეთ წამოიყვანეს.

რუბანიის ფრონტზე. მდ. ჩებანიოშის სამხრეთით ჩვენი ჯარი 10 მარტს დაკარგულ პოზიციების დასაბრუნებლათ აწყობ მოგებს ბრძოლას. მდ. ფსსის სამხრეთით მტერმა იერიშნი მოიტანა ჩვენს პოზიციაზე და ნაწილი კიდევაც დაიკავა.

პარიზი. 14 მარტი. სომახსა და თიანეთს შუა ჩვენი ჯარი გერმანიის არტილერიის ყუმბარებს უშენდა. გერმანელებმა რამოდენენიერმა სეცდეს ოუბა-ფსსინი ბენეს ფრონტზე იერიშების მოტანა, მაგრამ არტილერიის საშველებით უკუვაქციეთ. პტი-ჰარიზეს სოფლებში ჩვენ დავკავეთ: ვერენნი და კუსი-და-ფელდი. ბაესანთნი ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარმა ბოდნინლათ წაიწია. არგონებში მტერს მოეწოდენლათ დაესვენთ თვეს და 20 ტყვეი ხელთ ეიგდეთ. ეკონ-ენ ფრონტზე 304-ე მაღლობის მიმართულებით გაცხოველებული საარტილერიო სროლა სწარმოებს.

როკი. 15 მარტი. სუეზანოს ხეობაში მტრის რამოდენიმე რაზმმა სცადა მოახლოვებოდა ჩვენს სანგრებს, მაგრამ გავფანტეთ.ოელიანის ალპებთან არტილერია მოქმედებდა. მტერმა დაანგრია ჩვენი პოზიციები და სადამოზე მოიტანა იერიშნი, მაგრამ უკუვაქციეთ.

ლონდონი. 15 მარტი, ამ დღეთ ჩვენმა ცხენოსნებმა რაზმმა გადადგენ ბერმანეფილი (ოფულებიდან, ლონგვენნიდან, ლერ ამენდან და ბეგანკურიდან. ეს სოფლები ეხლა ჩვენს ხელშია. ღამით ბერმანელებმა იერიში მოტანეს და დროებით დაიკავეს შემტაცლა-კამრას ჩრდილოეთით ჩვენი სანგრები, მაგრამ მეორე დღეს დილით ჩვენ ისევ დავიბრუნეთ წართმეული ადგილები.

ლონდონი. 15 მარტი. 8 მარტს ბერმანიის ზეყალვენი ნავმა წინასწარ გაფფრთხილებლათ ჩასძარა ბრიტანეის საკოსპიტალო ბეეი „ასტურიასი“. დაიღუპა 31 კაცი. დაიჭრა 39 კაცი და თორმეტიც უკვალოთ დაიკარგა.

ბრიტანეთი. 14 მარტი. გვაუწყებენ ნორეგეიის გემების „ბერგენსი“, „ხუნგინს“ და „კორენენსი“ დალუპვას.

დეპეშები.

(საკ. კორესპ.)

ეროვანი. ქ. ეროვანის ქართული საზოგადოების ყრილობა სალამს გიძღვნით თქვენ, დემოკრატიის ერთგული დამცველ. ღღეს, ახალი ცხოვრების დაწყებისას მთელი ქართველი ხალხი მხარს გიჭერთ. დარწმუნებულნი ვართ, რომ ამიერ კავკასიაში მყოფ ერების ყველა ძმურ და შეკავშირებულ შრომას შეუძლია შეეჭნაოს ისეთი პირობები, რაც ქართველებს მოგვცეს საშველებას განვაზორიელოთ ჩვენი ეროვნული ინტერესები, ნაციონალური და პოლიტიკური მოთხოვნები.

თავმჯდომარე **ხოშტარია.**

ფეოვანა. უძღვნით სალამს რევოლიუციონერ ხალხს და არმიას. მოვდიგართ სამშობლოში.

ასათიანი, ბონაკიძე, კიკნ.ძე, ფილია, სულიაშვილი, სალაყაია, გოგენიაფი, თეეზაია, ბოფერია, ფორტოლანი, ოკუჯავა, გოგელია, ვაშაძე, და ქარაძიანი.

ოზეთირი. ოზურ ჩარის მოქალაქეთა კრებამ შეადგინა ადმისარულებელი კომიტეტი და გადაწყვიტეს მისალმებითი დეპეშები დროებითი მთავრობის თავჯდომარეს როძიანკოს და ფეშუბის და ჯარისკაცთა საბჭოს თავჯდომარეს ჩხეიძეს.

ქუთაისი. ქუთაისის გუბერნიის მართველგამგეობა მიეწერ ... კომიტეტს, კომიტეტს შეადგენ ... ჩიქოვანი, მეხსიერ ფუნის წევრი გეგეჭკორი, გრიგოლ გველესანი და ოფიცერი ტარაცეი.

აბაშა. მთელი აბაშის რაიონში გლეხთა საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტეტის არჩევნები დამთავრდა, არჩეულია კომისარიატი, სადაც შედის ა. კორძაია. ყველგან სრული სიმშვიდეა. ახლათ შემდგარმა მილიციამ ფიცი მიიღო და მოვალეობას ასრულებს.

ოურახ. ხონელიძე.

კავკასია. კავკასიის მუშათა დეპუტატების საბჭო სალამს ფძღვნის თვალსაჩინს პროლეტარიატის წარმომადგენელთ და პირიდან რა თავიანი მხრით ყოველგვარ დახმარებას დემოკრატიული რესპუბლიკის განხორციელებისათვის ბრძოლაში, იმედს გამოსთქვამს, რომ თვალისის მუშათა დეპუტატების საბჭო თავის მოქმედების ლოზუნგათ გაიჯდის საერთაშორისო სოციალიზმის მიზნებს.

ქუთაისი. 15 მარტს მუშათა და სამხედრო დეპუტატების საბჭოს ინიციატივით გაიმართა საქალაქო პანაშვიდები, სადაც დიდძალი ხალხი და მთელი გარნიზონი, —30 ათასამდე , ჯარისკაცეი დაესწრო. წარმოითქვა მთელი რიგი სიტყვებისა, რის შემდეგაც მისაღმების დეპეშები გაუგზავნეს პატიროგრადის მუშათა და ჯარისკაცეი დეპუტატების საბჭოს.

მიტინგის თავჯდომარე **ეგ. ბეგეიკორი.**

ბორჯომი. მუშათა დეპუტატების საბჭოსა და აღმასრულებელი კომიტეტის ინიციატივით დიდის ამბით იდღესასწაულეს რუსეთის დიდი რევოლიუციის დღესასწაული. გადაადგეს ბანაშვიდი თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპულთა მოსახსენებლათ.

ახალი ამბები

მიწათმოქმედების მინისტრის, ბ-ნ შინგარიოვის განკარგულებით ბაქოს ქალაქის მოურავი ბ-ნი ბიჩი დანიშნულია კავკასიის სასურსათო საქმეების მთავარ რწმუნებულათ. ბ-ნსა შაპოვსკაზე, წინანდელმა მთავარმა რწმუნებულმა, ყოველივე საქმეები უნდა ჩააბაროს მას.

◆ მიწათ-მოქმედების მინისტრმა დეპეშით განკარგულება მოიახლინა, რომ ამ ქალაქებში, ს

ᲥᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗ დაადგინა, რომ ᲔᲠᲘᲡ სასოფლოდან გადატანილი იქმნას ნაძალადევში, ხუდადოვის სახლების ხეივანში დასაკრძალავად, ნეშთი იქ. ნაკ. ხუდადოვისა, რომელიც ბნელ ძალების მომხრეთაგან მოკლულ იქმნა 1905 წელს. დადგენილების შესრულება დავალებული აქვს ᲥᲐᲚᲘᲡ მოურავს ა. ხატისოფს.

თფილისის საგაზრო-სამრეწველო პოლიციამ, მოსამსახურეთა სურვილის თანახმათ, სახელი გამოიცვალა და ამის შემდეგ ეწოდება: „საგაზრო-სამრეწველო ინსპექცია“.

მასწავლებლთა საუურადღებოთ. ამ ხანაგებო, მასწავლებელნო, კვირას, 19 მარტს დ. ახალსენაკის თეატრის დარბაზში დ. ნინოშვილია სენაკის მაზრის მასწავლებელთა კრება. განსახილველია მრავალი საკრებორატო საკითხი, დღეგრძელი მომენტისაგან გამოწვეული. დაესწრით ამხანაგებო, ამ კრებას. ფილიალის გამგეობა.

კონცერტი მომღერალ ვარდენ ლორთქიფანიძისა. დღეს 9 ნ.ბ. საათზე კლუბის დარბაზში მომღერალი ვარდენ ლორთქიფანიძე გამართავს კონცერტს ფართო შინაარსით ორ განყოფილებათ, რომელშიც მონაწილეობას ღებულობენ: ცნობილი მომღერალი ქალი მარიან შაიერზაშვილისა, თფ. მუსიკალურ სასწავლებ. პროფ. ბ-ნი ბროდერ, ბეთხოვენ დამკვრელი ბ-ნი სენკევიჩი, მომღერალი ბ-ნი ბოეზიერი და მემხესიკე კნ. გ. ანდრონიკაშვილისა, დ. ᲨᲕᲠᲘᲔᲚᲘᲡᲗᲘᲡ ᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ და პროგრამებში.

შეცდომის გასწორება. ვარლამ ხეროძის ფელეტონში „ლეილ“ და „საფარონი“ (იხ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ № 45, 46) შემდეგი უმთავრესი კორექტურული შეცდომებია. პირველ ფელეტონში: მესამე სვეტის მესამე ტრიქონში ᲕᲔᲓᲘᲡ ᲒᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲐ „ᲛᲘ ᲮᲜᲘᲗ“, უნდა იყოს „ᲛᲘ ᲮᲜᲘᲗ“. მეოთხე სვეტის მესამე სტრიქონში დაბეჭდილია: „სიმმოლისტების კაბადონი“, უნდა იყოს „სიმმოლისტების კარადონი“. ᲛᲔᲠᲕᲔ ᲡᲕᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲗᲮᲣᲗᲛᲔᲢᲘᲡ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲨᲘ ᲡᲬᲠᲘᲡᲐ: „ᲔᲚᲘᲢᲠᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲘᲛᲔᲚᲘ“, უნდა იყოს „ᲠᲔᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ“. ᲛᲔᲔᲮᲣᲗᲔ ᲡᲕᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲪᲮᲠᲐᲛᲔᲢᲘᲡ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲨᲘ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ: „ᲒᲐᲓᲐᲗᲓᲘᲚᲘᲡ“. ᲛᲔᲪᲮᲠᲐᲛᲔᲢᲘ ᲡᲕᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ ᲡᲢ. ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲐ: „ᲝᲠᲐᲒᲣᲚᲘ ᲡᲘᲜᲔᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ“, უნდა იყოს: „ᲠᲗᲣᲚᲘ“. ᲛᲔᲠᲕᲔ ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲕᲔᲢᲘᲡ ᲛᲔ-19 ᲢᲠ. ᲐᲠᲘᲡ „ᲕᲘᲜ ᲘᲪᲘᲡ ᲡᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ“, უნდა იყოს: „...ᲡᲐᲓ ᲐᲓᲘᲡ“, ᲛᲔᲠᲕᲔ ᲡᲕ. ᲞᲘᲠ. ᲢᲠᲗ. „ᲡᲘᲜᲐᲚᲝᲔᲜᲘᲗ“, უნდა იყოს: „ᲡᲘᲜᲐᲗᲕᲘᲗ“. ᲛᲔᲠᲕᲔ ᲡᲕ. ᲛᲔ 7 ᲢᲠ. „ᲐᲑᲠᲘᲜᲓᲔᲗ“, უნდა იყოს „ᲐᲑᲘᲡᲗᲕᲘᲗ“.

ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ.

ᲚᲘᲠᲔᲚᲐᲜᲓᲘ. კვირას 19 მარტს დილის 10 საათზე დანიშნულია სოფლიოს ახალი კლუბის დარბაზში სოფლიის მომხმარებელი საზოგადოების „მეგობრობის“ წევრთა წლიური კრება. თუ ამ დღეს არ შესდგა, კრება მოხდება 26 მარტს და კრება კანონიერათ ჩაითვლება რაიდენი წევრიც უნდა დაესწროს.

დ. ᲛᲚᲜ. ონის მომხმარებელ საზოგადოება „შეღავათი“ მოიელის ამ მოკლე ხანში ᲫᲕᲠᲘᲡ ფქვილს და შაქარს. ᲭᲐᲛᲓᲘᲡ თუ კოოპერატივნი რიგდებოდა კვირა ი ორჯერ შაქარი დღეს ყოველ დღე იყიდება.

— კოოპერატივი უკვე გადავიდა დიდ შენობაში. დაიქირავეს კასირაა. გამგეობა ცდილობს შეიძინოს ყოველვარი უსაბრალოსი საქონელი.

— აქაურ ნიბრით ნავთი ღირს გირვანქა 12 კ, სპიჩკა 6 კ., საპონი ადგილობრივი ნაკეთები გირვანქა 45 კ, მარილი გირ. 6 კ. სპირტი ფუთი 3 მ. ოსური ყველი გირ. 70 კ. ერმო გირ. 1 მ. 60 კ. და სხვა.

— 29 იანვარს ᲥᲝᲠᲬᲘᲚᲘ უეცრათ დასტრეს რევოლვერით მოწმეთ ესიკო ᲯᲐᲜᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ, რომელიც იმ დამესვე წაიყვანეს ქუთაისში, მაგრამ ჩასვლისთანავე გარდაეცვალა. მიცვალებულს გვამი უკანე მოასვენეს.

— 15 თებერვალს ღამით ᲒᲐᲪᲮᲝᲚᲘᲡ ᲝᲠᲘᲜ დუქანი ილიკო ᲮᲝᲛᲚᲘᲣᲠᲘᲫᲘᲡ და წიწა ᲑᲘᲠᲣᲜᲐᲕᲘᲡ, როგორც ამბობენ ილიკო ᲮᲝᲛᲚᲘᲣᲠᲘᲫᲘᲡᲒᲐᲜ წაღილით მარტო ფული 65-მდე და წიწა ᲑᲘᲠᲣᲜᲐᲕᲘᲡᲒᲐᲜ 25-მდე. ᲘᲕᲘᲜᲘ ᲨᲔᲘᲪᲐᲠᲘᲡ ღამის ყარაულმა.

— ᲐᲓᲘᲚᲘᲡᲨᲘᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲡ მარცვალი კოდი ოცდა ხუთი მანეთია. ამბობენ კიდე გაძვირდებაო.

Დ. ᲮᲝᲚᲝ. 6 მარტს, დღითი ორშაბათს მოხდა მოწმეფთა მანიფესტაცია; ისინი აღტაცებით მიეგებენ რუსეთის დიდ რევოლიუციას და ახალს დროებით მთავრობას. მოწმეფებმა წარმოსთქვეს გრძნობიერი სიტყვები, რომლებიც კარგათ ახასიათებდა თანამედროვე მოგნტს.

— 7 მარტს, დღითი სამშაბათს 11 საათზე ᲑᲔᲠᲘᲡ გაიმართა დიდი ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲜ მეტინგი, ხალხი ᲝᲤᲘᲪᲘᲔᲚᲘᲡ დაესწრო; მთელი ᲑᲔᲠᲘ ᲒᲐᲯᲣᲠᲔᲚᲘ იყო ხალხით. თავმჯდომარეთ აირჩიეს ᲒᲘ. ᲪᲐᲒᲐᲠᲘᲫᲔᲡᲘ. პირველათ მეტათ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲝᲜᲘᲜი და ᲒᲠᲫᲝᲜᲝᲑᲘᲠᲘ სიტყვა ᲬᲐᲛᲘᲗᲮᲣᲚᲘᲐ ᲘᲕ. ᲪᲐᲒᲐᲠᲘᲫᲔᲡᲘᲗᲐᲕᲘᲡ. ᲒᲐᲖᲘᲗᲘᲡ ᲮᲘᲚᲘᲗ ᲔᲠᲗᲘᲗᲐᲜᲗᲘᲡ ᲐᲠᲗᲛᲔᲤᲔᲡ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲛᲘᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲐᲚᲔᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲒᲘ. ᲯᲘᲜᲯᲘᲠᲘᲫᲔ. ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲛᲐ ᲒᲘ. ᲒᲘᲜᲯᲘᲠᲘᲫᲔ. ᲛᲔᲗᲘᲠᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲛᲐ ᲒᲘ. ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲫᲔ. ᲛᲔᲠᲕᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲛᲐ ᲒᲘ. ᲓᲘᲓᲘᲫᲔ. ᲛᲔᲗᲠᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲛᲐ ᲒᲘ. ᲓᲐᲕᲘᲫᲔ. ᲛᲔᲗᲠᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲛᲐ ᲒᲘ. ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲫᲔ. ᲛᲔᲠᲕ

სახელ მიზნის სრულიათ განხორციელებაში გამგეობას გარეშე მიზეზებიც უშლიდენ ხელს, მარა მას რომ საკმო ენერგია და სიცოცხლე გამოეჩინა, წრის მიზნიდან ბევრი რამის გაკეთება შეიძლო, ამიტომ კრება, როგორც სარევიზიო კომისიის იმ გამგეობას უცხადებს დიდ საყვედურს, მიუხედავათ ამისა ამტკიცებს მის მიერ წარმოდგენილ ანგარიშს და გადადის შემდეგ კითხვაზე—არჩევნებზე. ახალ გამგეობაში არჩეულ იქნენ: ქ. მაჯაგალიე, (ძველი გამ. წევრია) ბ. ნაცვლაძე, ა. კიკნაძე. ნ. სვანიძე და გ. ზათარიშვილი. ამათ კანდიდატებათ: ილიკო მაჩუტაძე და ა. კინწურაიშვილი. სარევიზიო კომისიაში: გიგო ომაძე და ა. გიგიტკორი: ამათ კანდიდატებათ ხეკურიანი და თ. შანიძე. ვუსურვოთ ახალ გამგეობას მეტი საქმიანობა და ენერგია, რომ საზოგადოების იმედები გაამართლებიათ!

ბ. ნაც—ძე.

პოოპერატიული მოძრაობა

ს. ძველ ხურაბი. (გური). 19 თებერვალს მოხდა ქვემო სურეთის მიმბ. საზ. „ცხოვრების წყაროს“ წევრთა მორიგი წლიური კრება. როგორც გამგეობის მოხსენებიდან გამოირკვა, საზ. დღეს ჩაწერილა 177 წევრი, თითქმის ყველას შემოუტანია საწევრო და სამაგო ფული (11 მ.), წლის განმავლობაში გადაბრუნებულა 15563 მ. რაც ორჯერ მეტია 1915 წ. წმინდა მოგება დარჩენილა 820 მ. 36 კ., დღის საზ ქონება გამოიხატება შემდეგში:

აქტივი:	
კასა	99 მ. 59 კ.
საქონელი ნასყიდობაზე	9011 მ. 72 კ.
მოსკოვის კაგშირში	50 მ.
ინვენტარი	600 მ. 20 კ.
ჯამი	9761 მ. 51 კ.
პასივი:	
საპაიო	2191 მ. 14 კ.
საწევრო და სათადარიგო	300 მ. 68 კ.
სესხი	6431 მ. 46 კ.
გაუყოფელი მოსაგები 1915 წ.	17 მ. 87 კ.
მოსაგები	820 მ. 36 კ.
ჯამი	9761 მ. 51 კ.

კრებამ მიიღო და დამტკიცა ანგარიში. მთელი წმინდა მოგება გადაიიდვა საექმო ფონდის გასადიდებლათ. აგრეთვე დამტკიცებული იქნა მომავალი 1917 წ. ხარჯთაღრიცხვა, რომელიც უდრის 1140 მ.: 900 მ. ნოკრარს და 240 მ. მოანგარიშეს. გამგეობას გამოეკითხა მადლობა და მიეცა ჯილდოთ 100 მ., მაგ კი (გამგეობამ) ეს თანხა შესწირა სამკითხველოს. გამგეობაში აირჩიეს ისევ ძველი წევრები.

ა. ა.

დ. ყვირილა. 1917 წ. თებერვლის 26 სულ ზესტაფონში მომხმარებელი საზ. „ერთობის“ საზოგადო კრება. კრებას დაესწრო 157 წევრი.

კრების თავმჯდომარეთ აირჩიეს პროკლე დეკანიძე, მდივნათ ს. გოცაძე.

კრებას თავმჯდომარემ მზურალე სიტყვით მიმართა დასწრე საზოგადოებას, რომელშიაც მან სიამოვნებით აღნიშნა ის მოვლენა, რომ მომხმარებელი საზოგადოება ძლიერ გაფართოებულა. ამ ბნის განმავლობაში მას 800 მეტი წევრი შეუძენია. ეს მოვლენა მას ძლიერ ახარებს და უსურვა საზოგადოების მეთაურებს უფრო მეტი ენერგია და საქმით დაინტერესება. შემდეგ ამისა თავმჯდომარემ ჩამოთვალა ამ დღისთვის გასარჩევი საკითხები.

1) გამგეობის მოხსენება. მოხსენება წაიკითხა გამგეობის თავმჯდომარემ ი. გოცაძემ. მან გააცნო საზოგადოებას ორი თვის (1 ნოემბრიდან 1 იანვრამდის) ანგარიშები. ამ ხნის განმავლობაში შემოსავალი ყოფილა 11,002 მ. 18 კ., გასავალი 10,048 მ. 1 კ.; დარჩა მოგება 954 მ. 17 კ.

2) შემდეგ ამისა სარევიზიო კომისიის წევრმა კოტო ბეგოძემ წაიკითხა მოხსენება, მოხსენებელმა დადასტურა გამგეობის ანგარიშები, ხოლო უსაყვედურა გამგეობის წევრებს ზოგიერთი შეშფოთებელი ანგარიშების უსისტემოთ წარმოება.

3) მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც კრებამ სავსებით მიიღო. გამგეობის თავმჯდომარის წინადადებით კრებამ დაადგინა: დაქირაოებულად იქმნას სპეციალურათ ერთი კაცი, რომელიც მარტო საქონლის შეძენასა და მის მოტანაზე იზრუნებს.

4) შორაპანში განყოფილების გახ ნის საკითხი. მოხსენებას გითხულობს გამგეობის წევრი ლადო კაშია. მომხსენებელი ამბობს, რომ შორაპანში მათ ჰყავთ 250 მეტი წევრი, რომლების მეტი ნაწილი რკინის გზის მოსამსახურენი არიან და დროს უქონლობის გამო არ შუძლიათ ინაკგებლონ თავიანთი ადგილებით დ. ყვირილაზე. ამისათვის იგი მიიღოს-ეიხსნას შორაპანში ფურნესთან ერთად ნაწერთათვის სასადილო და საბაკალეთო მაღაზია. ამ კითხვამ დიდი ალერ-ბაური გამოიწვია. მიუხედავათ იმისა, რომ კრების თავმჯდომარემ შორაპანში განყოფილების გახსნა აუცილებელ საქმეობად ჩასთვალა—კრებამ ეს ასხარობა გამო იგი არ მიიღო.

5) კოოპერაციის ცოდნა ვანგითარების გაკვრცელება. ეს კითხვა წამოაყენა თავმჯდომარემ, პ. დეკანიძემ. ამ უკანასკნელმა ხაზი გაუსვა—აუცილებლად მოეწყოს კოოპერატიული ლექციები, გავრცელდეს კოოპერატიული ფურცლები. ამის გარდა მან დაუმატა, რომ კოოპერაცია უნდა ზრუნავდეს თავიანთ მომხმარებლების არა მარტო მატერიალურ მხარეზე, არამედ მის ზნეობრივ და გონებრივ მხარეზედაც.

6) დასასრულ მოხდა დამატებითი არჩევნები გამგეობის და სარევიზიო კომისიის. გამგეობაში აირჩიეს ერთი წევრი მირიან ბასლოია; სარევიზიო კომისიაში: ივ. კარეტინი, გიორგილ შენგელია და მ. თავაძე.

მაგრამ არჩევნები უკანონო იყო. იგი მოხდა კრების დაბოლოს, როდესაც უმეტესი ნაწილი წყნარებისა უკვე წასული იყო. დარჩა მხოლოდ 20 წევრი (150 მაგიერ) და ეი ამ ოცმა კაცმა ამორჩია თავიანთ შორის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრები. მიუხედავად ამისა, ეს ამ ოცმა კაცმა ამორჩია ეს ადამიანები, ეს ადამიანები ეს ადამიანები, ეს ადამიანები, ეს ადამიანები,